



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004016

„ 23 “ ავგისტო 2024 წ.

ქ. თბილისი
(შეღებვის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საჯაროებზე დანერგვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. თბილისი ვ. ნიზინაძის ქ. შეს. №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: სს „სუსთავის აზოქი“ (ს/ს 404519704)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, იმედი)

ოფ. მის.: ქ. სუსთავი, მშვიდობის ქუჩა №2; ვენ. დიხეჭვალი
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იუ...

... მონაცემების 2024 წლის 19 თებერვლის №2-224 შიდადოკუმენტით გაწეული ვიდეოსურველი
ვადანერგვითი; დეპარტამენტის 2021 წლის 22 ივლისის №002106 სემინარული მონიტორინგის

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004016

ადმინისტრაციული მონიტორინგის დანიშნულება
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

Blank lines for additional information or notes.

გასატარებელი ღონისძიებები: ისიგა 1004016 ადმინისტრაციული მინისტროს დანართი №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 15 ვუხუცი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამსახურში მუშაობის 79⁸ მუხლის პერიოდის წიხვი და მუხუ
ნაწილის და 79⁷ მუხლის შესაბამისად
(კანონის მუხლები, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: ვახტანგ დავითაძის დამხმარებლის დანიშნულების
(თანამდებობა, სახელი, გვარი)

რეგისტრაციის მოდელი- მთავარი სახელმძღვანელო ინსტრუქციის ნაწილი

თანამდებობის პირის ხელმოწერა:

ნ. კოხჩიაშვილი

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

ოქტავიანე კოსტია

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2024 წლის 23 აგვისტოს №004016 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

2024 წლის 27-29 თებერვალს, განხორციელდა ქ. რუსთავში, მშვიდობის ქუჩა №2-ში განთავსებული, სს „რუსთავის აზოტი“-ს (ს/ნ 404519794) კუთვნილი, ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წარმადობის გაზრდა; სახიფათო ნარჩენების ინსინერაცია; ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა; სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება; 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 19 თებერვლის №2-224 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის არაგეგმიური შემოწმების დროს გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, სს „რუსთავის აზოტი“-ს მიმართ შემუშავებული, დეპარტამენტის 2021 წლის 22 ივლისის №002109 ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირება.

ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

არ არის შესრულებული დეპარტამენტის 2021 წლის 22 ივლისის №002109 ადმინისტრაციული მიწერილობით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 19 თებერვლის №2-224 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი ვალდებულებები და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები. კერძოდ:

- 1.** დეპარტამენტის 2021 წლის 22 ივლისის №002109 ადმინისტრაციული მიწერილობის პირველი პუნქტის 1.1. ქვეპუნქტის შესაბამისად, მინისტრის 2021 წლის 19 თებერვლის №2-224 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-19 პუნქტით გათვალისწინებული, საკანალიზაციო ქსელში ან/და გრუნტში ციან-იონების შემცველი თხევადი საწარმოო ჩამდინარე ნარჩენი წყლების ჩაშვების აღკვეთის მიზნით, შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, სს „რუსთავის აზოტმა“ არ უზრუნველყო გამწმენდი სისტემის მოწყობის სამუშაოების გეგმა-გრაფიკით დადგენილ ვადაში დასრულება (ვადა არაუგვიანეს 2024 წლის 15 თებერვალს);
- 2.** სუფთა ციან მარილების განყოფილებაში წარმოქმნილი საწარმოო ციანიდების შემცველი წყლები, მილის საშუალებით ჩაედინება საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ ძველ ბეტონიზირებულ სექციებიან რეზერვუარში, რომლის ძირი არ არის მობეტონებული, ასევე დაზიანებულია ბეტონის კედლები და ციან შემცველი წყლები, ყოველგვარი გაწმენდის გარეშე იჟონება ნიადაგში (GPS კოორდინატი: X-505277 Y-4597791). აღნიშნული წარმოადგენს 2021 წლის 22 ივლისის №002109 ადმინისტრაციული მიწერილობის პირველი პუნქტის 1.1. ქვეპუნქტისა და მინისტრის 2021 წლის 19 თებერვლის №2-224 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-17 პუნქტის მოთხოვნის დარღვევას;

3. 2021 წლის 19 თებერვლის №2-224 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების 21-ე პუნქტისა და დეპარტამენტის 2021 წლის 22 ივლისის №002109 ადმინისტრაციული მიწერილობის პირველი პუნქტის 1.3. ქვეპუნქტის თანახმად, სს „რუსთავის აზოტმა“ არ უზრუნველყო, მილსადენების/აგრეგატების კოროზიის და გარსაცმების დაზიანების აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების სრულყოფილად განხორციელება შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, კერძოდ, ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ საამქროებში არ არის შესრულებული გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული შემდეგი სამუშაოები:

ამიაკის სინთეზის საამქრო:

- სინთეზის კოლონის შესასვლელი - II ცივი ბაიპასი - არ არის თერმოიზოლაცია;
- ხსნარების ხაზები P-106-დან N-101-მდე - ნაწილობრივ შეღებულია;
- თხევადი ამიაკის ხაზები, ამიაკის საწყობში - ნაწილობრივ შეღებულია.

ამონიუმის გვარჯილის საამქრო:

- თუთქი P-32 ნ.ს.გ აპარატიდან E5-მდე - ნაწილობრივ არის შესრულებული თერმოიზოლაციის სამუშაოები;
- თუთქი E8 ავზიდან P-31.2 ნ.ს.გ აპარატებამდე და P-4 აპარატამდე - ნაწილობრივ არის განხორციელებული თერმოიზოლაციის სამუშაოები;
- T-10 ამორთქლებელი აპარატი - სამუშაოს უმეტესი ნაწილი შესრულებულია, თუმცა, აპარატის ზედა ნაწილში ჩასატარებელია თერმოიზოლაციის სამუშაოები;
- აირადი ამიაკი T-1 -დან P-3 1.2 აპარატებამდე - თერმოიზოლაციის სამუშაოები არ დაწყებულა.

ციან/მარილების წარმოება:

- ნატრიუმის ციანიდის წყალხსნარის ხაზი, მიმავალი ამორთქლებელში - არ განხორციელებულა თერმოიზოლაციის სამუშაოები;
- ფილტრატის ხაზი მიმავალი ნეიტრალიზატორებში - არ განხორციელებულა თერმოიზოლაციის სამუშაოები;
- პოზიცია 12 (1,2) საცავები - ნაწილობრივ შეღებულია;
- პოზიცია C-8 (2) კრისტალიზატორი - ნაწილობრივ შეღებულია;
- სიციფე - გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული სამუშაოების ძირითადი ნაწილი შესრულებულია და დარჩენილია მხოლოდ საამქროში შემავალი ორთქლის ხაზის თერმოიზოლაციის სამუშაოების ნაწილი;
- ჟანგბადის საამქრო - გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული სამუშაოები შესრულებულია, თუმცა, აღსანიშნავია, რომ თხევადი ჟანგბადის კოლექტორის მილზე განხორციელებული

2024 წლის 23 აგვისტოს №004016 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

თერმოიზოლაციის მიუხედავად, ტექნოლოგიურ მილსადენებზე ფიქსირდება ყინულის თეთრი მასები.

- ნაწილობრივ არის შესრულებული გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული სამუშაოები 371 განყოფილებაში, კიპის ჰაერის მილგაყვანილობის თერმოიზოლაციის სამუშაოები ნაწილობრივ არის შესრულებული და ტექნიკური ჰაერის კოლექტორის მილის გარკვეული მონაკვეთი შესაღებია.

4. დეპარტამენტის 2021 წლის 22 ივლისის №002109 ადმინისტრაციული მიწერილობის პირველი პუნქტის 1.4. ქვეპუნქტის შესაბამისად, კომპანიამ არ უზრუნველყო სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმა-გრაფიკით (2022 წლის 18 იანვრის №441/01 წერილი) განსაზღვრული სამუშაოების სრულყოფილად ჩატარება. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ შემწოვ-გამწოვი ვენტილაციის სისტემის აღდგენის სამუშაოები არ არის ჩატარებული შემდეგ საამქროებში:

ამიაკის სინთეზის საამქრო:

- დგუშიანი კომპრესორების განყოფილებაში არ ფუნქციონირებს შემწოვი ვენტილაცია;
- საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებისა და ავტომატიკის უბანზე არ ფუნქციონირებს შემწოვი ვენტილაცია;

ციან/მარილების წარმოება:

- ციან მარილების მიღების განყოფილებაში არ ფუნქციონირებს შემწოვი ვენტილაციის სისტემა, მე-3 სართულზე;

5. სს „რუსთავის აზოტი“ არ ახორციელებს საქმიანობას დეპარტამენტის 2021 წლის 22 ივლისის №002109 ადმინისტრაციული მიწერილობის მე-2 პუნქტის და მინისტრის 2021 წლის 19 თებერვლის №2-224 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-6 პუნქტის შესაბამისად. კერძოდ, არ არის დაცული, უფლებამოსილ ორგანოსთან 2021 წლის 19 ოქტომბერს შეთანხმებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით“ დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები. სს "რუსთავის აზოტი"-ს საწარმოში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე დამონტაჟებული უწყვეტი მონიტორინგის ხელსაწყო/სინჯის ამღებებიდან ელექტრონული სისტემის ცენტრალურ საცავში მიღებული მონაცემებით, 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 მარტის ჩათვლით, ფიქსირდება უწყვეტ მონიტორინგს დაქვემდებარებული ნივთიერებების ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გადამეტების ფაქტები. კერძოდ:

- 2024 წლის 1, 4, 5, 20, 21, 23, 25 იანვარს, აზოტმუჟავას საამქროს "გ-8" გაფრქვევის წყაროდან დაფიქსირდა ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი CO-ს კონცენტრაციის დადგენილი ნორმის 5-ჯერამდე გადამეტების 19 ფაქტი;

2024 წლის 23 აგვისტოს №004016 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

- 2024 წლის 4, 5, 7, 8, 28 იანვარს, ამიაკის სინთეზის საამქროს "გ-1" გაფრქვევის წყაროდან დაფიქსირდა ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი NO_2 -ის კონცენტრაციის დადგენილი ნორმის 5-ჯერამდე გადამეტების 16 ფაქტი, დადგენილი ნორმის 5-დან 10-ჯერამდე გადამეტების 13 ფაქტი და დადგენილი ნორმის 10-ჯერ ან მეტჯერ გადამეტების - 9 ფაქტი;
- 2024 წლის 5 და 8 იანვარს ამიაკის სინთეზის საამქროს "გ-1" გაფრქვევის წყაროდან დაფიქსირდა ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი CO -ს კონცენტრაციის დადგენილი ნორმის 5-ჯერამდე გადამეტების 14 ფაქტი;
- 2024 წლის 7-31 იანვარს, ამიაკის სინთეზის საამქროს "გ-2" გაფრქვევის წყაროდან დაფიქსირდა ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი NO_2 -ის კონცენტრაციის დადგენილი ნორმის 5-ჯერამდე გადამეტების 210 ფაქტი;
- 2024 წლის 1, 2, 3, 4, 10, 12-15, 19, 21, 23 და 29 თებერვალს, აზოტმჟავას საამქროს "გ-8" გაფრქვევის წყაროდან დაფიქსირდა ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი CO -ს კონცენტრაციის დადგენილი ნორმის 5-ჯერამდე გადამეტების 88 ფაქტი და დადგენილი ნორმის 5-დან 10-ჯერამდე გადამეტების 2 ფაქტი;
- 2024 წლის 1, 2, 3, 4, 10, 16, 17, 28 თებერვალს, ამიაკის სინთეზის საამქროს "გ-2" გაფრქვევის წყაროდან დაფიქსირდა ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი NO_2 -ის კონცენტრაციის დადგენილი ნორმის 5-ჯერამდე გადამეტების 45 ფაქტი;
- 2024 წლის 17, 18, 19, 25, 27 და 29 თებერვალს, ამიაკის სინთეზის საამქროს "გ-1" გაფრქვევის წყაროდან დაფიქსირდა ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი NO_2 -ს კონცენტრაციის დადგენილი ნორმის 5-ჯერამდე გადამეტების 48 ფაქტი და დადგენილი ნორმის 5-დან 10-ჯერამდე გადამეტების 30 ფაქტი;
- 2024 წლის 1-8, 15, 18, 19, 26 მარტის პერიოდში, აზოტმჟავას საამქროს "გ-8" გაფრქვევის წყაროდან დაფიქსირდა ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი CO -ს კონცენტრაციის დადგენილი ნორმის 5-ჯერამდე გადამეტების 43 ფაქტი და დადგენილი ნორმის 5-დან 10-ჯერამდე გადამეტების 1 ფაქტი;
- 2024 წლის 3, 12-25, 27, 31 მარტის პერიოდში, ამიაკის სინთეზის საამქროს "გ-2" გაფრქვევის წყაროდან დაფიქსირდა ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი NO_2 -ს კონცენტრაციის დადგენილი ნორმის 5-ჯერამდე გადამეტების 286 ფაქტი;
- 2024 წლის 3, 4, 5, 6, 11, 20, 28 მარტის პერიოდში, ამიაკის სინთეზის საამქროს "გ-1" გაფრქვევის წყაროდან დაფიქსირდა ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი NO_2 -ს კონცენტრაციის დადგენილი ნორმის 5 - ჯერამდე გადამეტების 14 ფაქტი და დადგენილი ნორმის 5-დან 10-ჯერამდე გადამეტების 15 ფაქტი.

ამასთან, 2021 წლის 19 ოქტომბერს, შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული "ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით" "გ-1" გაფრქვევის წყაროსთვის, დადგენილი ზღვრული შეადგენს - CO - 62,2 მგ/მ³, ხოლო "გ-8" გაფრქვევის წყაროსათვის - CO - 112,9 მგ/მ³. ამავე პროექტის შესაბამისად, "გ-1" გაფრქვევის წყაროსათვის დადგენილი ზღვრული შეადგენს - NO_2 - 23,2 მგ/მ³, ხოლო "გ-8" გაფრქვევის წყაროსათვის - NO_2 - 113 მგ/მ³.

6. სს „რუსთავის აზოტი“-ის მიერ არ არის შესრულებული დეპარტამენტის 2021 წლის 22 ივლისის №002109 ადმინისტრაციული მიწერილობის მე-3 პუნქტის და მინისტრის 2021 წლის 19 თებერვლის №2-224 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-14 პუნქტი. კერძოდ, საქმიანობას არ ახორციელებს საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად:

6.1. 2021 წლის 22 ივლისის №002109 ადმინისტრაციული მიწერილობის 3.2 ქვეპუნქტის შესაბამისად, სს „რუსთავის აზოტმა“ არ აღკვეთა საწარმოს ტერიტორიის ნარჩენებით დანაგვიანება/დაზინძურება და ნარჩენების მართვას არ ახორციელებს სამინისტროს 2023 წლის 15 თებერვლის №1046/01 წერილით შეთანხმებული 2022-2024 წლების კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად. კერძოდ:

- აზოტმჟავას საამქროს მოპირდაპირე მხარეს, დაფიქსირდა დიდი რაოდენობით ჯართის და სხვა სახიფათო ნარჩენების დაყრის ფაქტი. ასევე, საწარმოს ტერიტორიის სხვადასხვა ადგილას დაყრილია სხვადასხვა სახის ნარჩენები, მათ შორის სამშენებლო ნარჩენები. ასევე, დიდი რაოდენობით დაფიქსირდა ტექნოლოგიური მილსადენების გამოცვლილი გარსაცმების თერმოიზოლაციის ნარჩენები;
- ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად, სახიფათო ნარჩენების განთავსების დროებითი ადგილები არ არის აღჭურვილი უსაფრთხოების სისტემით. ინსპექტირებისას 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების ობიექტზე არსებული ცეცხლმაქრები ვადაგასულია და არ იმყოფება წნევის ქვეშ;
- ინსპექტირებისას, 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების ობიექტზე, დაფიქსირდა ისეთი სახიფათო ნარჩენების განთავსების ფაქტი, რომლებიც არ არის განხილული ნარჩენების მართვის გეგმაში. მაგ: საწარმოს ტერიტორიაზე არსებული კოსმეტოლოგიურ საამქროში არსებული ნარჩენები - კერძოდ, ტუჩსაცხების და კოსმეტიკური ნაწარმის დასამზადებელი ვადაგასული მასალები, გამხსენელები. აღნიშნული ნარჩენების შესახებ ინფორმაცია ასევე არ არის ასახული კომპანიის 2024 წლის 18 მარტის №18434 წერილით წარმოდგენილ 2023 წელს და 2024 წელს საწარმოში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების აღრიცხვის დოკუმენტში;
- ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად, აკრძალულია სახიფათო ნარჩენების მიწისქვეშა ან/და ზედაპირულ წყლებში ჩაშვება/გადაღვრა. ინსპექტირების პროცესში გამოვლინდა ციანიდის შემცველი ნარჩენების მიწაში ჩაჟონვის ფაქტი და დადგინდა, რომ ციანმჟავას განყოფილებაში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლები, რომლებიც შეიცავენ ციანიდებს, იკრიბება ციან მჟავას განყოფილებასთან არსებულ მიწისქვეშა რეზერვუარში (X-505112; Y-4597981), სადაც ასევე ჩაედინება ტექნოლოგიური სტადიებიდან იატაკებისა და აპარატების ნარეცხი წყლები. აღნიშნული დაზინძურებული წყლები, ტუმბოს საშუალებით გადაიქაჩება ციან მარილების უბანზე არსებულ ძველ ბეტონის რეზერვუარში;

- ნარჩენების მათვის გეგმის შესაბამისად, სრულყოფილად არ ხდება ნარჩენების შეგროვებისათვის განკუთვნილი კონტეინერების მარიკირება შესაბამისი ნიშნებით, რათა შესაძლებელი იყოს მათი შიგთავსის განსაზღვრა და ზუსტად აღწერა;
- ტარა-შესაფუთი მასალების საამქროს მიმდებარედ, 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი გათვასების ობიექტის გარეთ, საწარმოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა, დიდი რაოდენობით პოლიეთილენის და პოლიპროპილენის სახიფათო ნარჩენების დაყრის ფაქტი. პოლიეთილენის და პოლიპროპილენის ნარჩენების დიდი რაოდენობა დაფიქსირდა 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის პირდაპირ. აღნიშნული ნარჩენები არ იყო განთავსებული მობეტონებულ და შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე. ასევე, არ იყო აღჭურვილი შემკრები სანიაღვრე არხებით. შესაბამისად, ნალექიანი ამინდის დროს ადგილი აქვს დაბინძურებული სანიაღვრე წყლებით ტერიტორიის დაბინძურებას (GPS კოორდინატზე: X-504997, Y-4597301.). სალექარის მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე დაფიქსირდა დიდი რაოდენობით პოლიეთილენის და პოლიპროპილენის ნარჩენების დაყრის ფაქტი (GPS კოორდინატი: X-504846, Y-4597378). კომპანიის 2024 წლის 18 მარტის №18434 წერილის შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების რაოდენობა, რომელიც არ ექვემდებარება გადამუშავებას, შეადგენს დაახლოებით 100 ტონას;
- ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ნარჩენების წინასწარი დამუშავება და გადარჩევა მიმდინარეობს ნარჩენების დასაწყობების უბნის მიმდებარედ, უშუალოდ საამქროების ტერიტორიაზე და არა ნარჩენების წინასწარი დამუშავების უბანზე;
- ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს ექსპლუატაციისას წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები, გარდა გზმ ანგარიშით და ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული ადგილებისა, განთავსებულია საწარმოს სხვა ტერიტორიებზე. კერძოდ, ამიაკის სინთეზის საამქროს ტერიტორიაზე, ლითონის რეზერვუარში განთავსებულია 200 ტონა მონოეთანოლამინის ნარჩენები. ასევე, საწარმოს ტერიტორიაზე, ძველი კაპროლაქტამის საამქროს შენობაში, ლითონის კასრებში განთავსებული იყო 40 ტონა 7% ანიზოლის, ფენოლების და კრეზოლების შემცველი კუბური ნარჩენები;
- ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ სს „რუსთავის აზოტმა“ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ტომრების სახიფათო ნარჩენები (13400 კგ) გადასცა არაუფლებამოსილ პირს, შპს „ჯორჯია პეტპლასტ მენეჯმენტს“ (ს/კ 400216066). ამასთან, შპს „ჯორჯია პეტპლასტ მენეჯმენტს“ ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge) არ აქვს გავლილი საქმიანობის რეგისტრაცია ნარჩენების შეგროვება/ტრანსპორტირებაზე. ამასთან, დადგინდა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 11 ივნისის №2-854 ბრძანებით შპს „ჯეო პლოიმერის“ ქალაქ თბილისში ნარჩენების აღდგენის - პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამუშავების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „ჯორჯია პეტპლასტ მენეჯმენტს“. აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად, კომპანიას უფლება აქვს განახორციელოს პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების (კოდი: 20 01 03; 20 01 04; 20 01 39) გადამუშავება, თუმცა არ აქვს უფლება განახორციელოს 15 01 10* კოდით (შესაფუთი მასალა, რომლებიც შეიცავს სახიფათო

ნივთიერებების ნარჩენებს ან/და დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით) განსაზღვრული ნარჩენების გადამუშავება;

- ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ 50 ტონამდე არასახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტი არ გამოიყენება მიზნობრივად. კერძოდ, აღნიშნულ უბანზე არ ხდება არასახიფათო ნარჩენების განთავსება და ინსპექტირებისას მიმდინარეობდა ტექნოლოგიური მილსადენების სარეაბილიტაციო სამუშაოებისას წარმოქმნილი გარსაცმების დაჭრა/შედულების სამუშაოები;

6.2 სს „რუსთავის აზოტი“, დეპარტამენტის 2021 წლის 22 ივლისის №002109 ადმინისტრაციული მიწერილობის მესამე პუნქტის 3.3. ქვეპუნქტის შესაბამისად, არ ახდენს საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge) სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმების წარმოებას. კერძოდ, 2024 წლის 13 მარტს, ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში შევსებულ სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების №2328295679 ფორმაში, 15 01 10* კოდით განსაზღვრული ნარჩენების გადამზიდველი და მიმღები კომპანია არ ემთხვევა სს „რუსთავის აზოტი“-ს მიერ წარმოდგენილ ზედნადებში მითითებულ კომპანიას.

ზემოაღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^მ მუხლის პირველი ნაწილით, 79^მ მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ", "გ" ქვეპუნქტით და 79^მ მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

7. ინსპექტირების შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ სს "რუსთავის აზოტი" საქმიანობას არ ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 19 თებერვლის №2-224 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის შესაბამისად და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე. კერძოდ:

განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ტარა-შესაფუთი მასალების საამქროს მიმდებარედ 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი გათვსების ობიექტი არ არის მოწყობილი გზშ ანგარიშის შესაბამისად. კერძოდ, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტი განთავსდება ტარა შესაფუთი მასალების საამქროსთან არსებულ თავისუფალ ტერიტორიაზე. საპროექტო ობიექტი დაყოფილი იქნება ორ სექტორად. პირველ სექტორში მოხდება ავტოსატრანსპორტო საშუალებით ტომრების ნარჩენების შემოტანა და დასაწყობება. ამავე სექტორში მოხდება პოლიეთილენის და პოლიპროპილენის ტომრების განცალკევება და ცალ-ცალკე ტომრებში განთავსება. მეორე სექტორში მოხდება განცალკევებული პოლიეთილენის და პოლიპროპილენის ტომრების დასაწყობება. გზშ ანგარიშის 4.10.4.1 ნახაზის შესაბამისად, აღნიშნული ნარჩენების განთავსების ობიექტის ფართობი შეადგენს 400 მ²-ს. ამავე ანგარიშის შესაბამისად, 10 ტონაზე მეტი სახიფათო

ნარჩენის დროებითი შენახვის და წინასწარი დამუშავების ობიექტზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლები ნავთობდამჭერის შემდეგ გადავა მეორე სექციაში, ხოლო სასუქით დაბინძურებული წყლები განეიტრალებდა ამიაკის წყლით და ჩავა კანალიზაციაში.

ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ტარა-შესაფუთი საამქროს მიმდებარედ მოწყობილია ორი უბანი. აღნიშნული უბნიდან ერთი, რომელიც განთავსებულია 400 მ² ფართობზე, შემოსაზღვრულია მავთულის ღობით, თუმცა დარღვეულია ღობის მთლიანობა და არ არის დაცული უცხო პირთა შეღწევისაგან, ხოლო მეორე უბანი, პირობითად დაყოფილია ორ სექტორად. სექტორებს შორის მოწყობილია სანიაღვრე არხი, საიდანაც სანიაღვრე წყლები მილის საშუალებით უნდა ჩავიდეს მოწყობილ ორ სექციან რკინა-ბეტონის ორმოში. ინსპექტირებისას დადგინდა, რომ მეორე, ორ სექტორიანი უბნის ფართობი შეადგენს 2983 მ²-ს, რაც არ შეესაბამება გზშ ანგარიშში მოცემულ ინფორმაციას.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა. შესაბამისად, დადგინდა, რომ კომპანიამ ზემოაღნიშნული ცვლილებები განახორციელა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე, რაც წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

8. განხორციელებული ინსპექტირების შედეგად ასევე გამოვლინდა ნარჩენების მართვის კოდექსით განსაზღვრული შემდეგი სამართალდარღვევის ფაქტები. კერძოდ:

8.1. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ კომპანია სამშენებლო და ინერტული ნარჩენების განთავსებას, გარდა მისი კუთვნილი ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელისა, ასევე ახდენს საწარმოს მიმდებარედ არსებულ ტერიტორიებზე. კერძოდ, დადგინდა, რომ საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე, დაყრილია დიდი რაოდენობით, 50 მ³-ზე მეტი მოცულობის სამშენებლო/ინერტული ნარჩენები და სხვა ნარჩენები. დოკუმენტაციის კამერალური დამუშავებით დადგინდა, რომ სამშენებლო/ინერტული ნარჩენებით დაბინძურებულია შემდეგი საკადასტრო კოდით განსაზღვრული ტერიტორია (სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 13 მარტის №56343 წერილი):

- №02.07.01.498 საკადასტრო კოდით განსაზღვრული არასასოფლო-დანიშნულების 16214 კვ.მეტრი ტერიტორია, მესაკუთრე სახელმწიფო;
- №02.07.01.448 საკადასტრო კოდით განსაზღვრული არასასოფლო-დანიშნულების 34 კვ.მეტრი ტერიტორია, მესაკუთრე სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“;

- №02.07.01.498 საკადასტრო კოდით განსაზღვრული არასასოფლო-დანიშნულების 6468 კვ.მეტრი ტერიტორია, მესაკუთრე სახელმწიფო;
- №02.07.01.449 საკადასტრო კოდით განსაზღვრული არასასოფლო-დანიშნულების 49 კვ.მეტრი ტერიტორია, მესაკუთრე სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“;
- №02.07.01.308 საკადასტრო კოდით განსაზღვრული არასასოფლო-დანიშნულების 13655 კვ.მეტრი ტერიტორია, მესაკუთრე სს „რუსთავის აზოტი“.

8.2 ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ სს "რუსთავის აზოტი", ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელის ოპერირებას არ ახორციელებს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №421 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვის და შემდგომი მოვლის შესახებ“ მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 13 მარტის №21/1684 წერილით შეთანხმებული სს "რუსთავის აზოტი"-ს "არსებული ნაგავსაყრელის (ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელი) შესაბამისობაში მოყვანის გეგმის" შესაბამისად, ნაგავსაყრელზე უნდა მოხდეს მაგნეზიტის მყარი ფაზის (MgO , $Mg(NO)_3)_2$ განთავსება. აღნიშნული ნარჩენი (06 10 99) წარმოიქმნება კაპროლაქტამის საამქროს მაგნიუმის ხსნარის მიღების განყოფილებაში. ამავე გეგმის ცხრილი №4.1 "ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ნარჩენებისათვის დამახასიათებელი თვისებები"-ს შესაბამისად, მაგნეზიტის ნარჩენების ფიზიკური მდგომარეობად მითითებული "მყარი". თუმცა, ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ნაგავსაყრელზე განთავსებული იყო მაგნეზიტის თხევადი ნარჩენები. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №421 დადგენილებით დამტკიცებული "ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად (ნაწილი II, ნარჩენების მიღების კრიტერიუმები), ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელზე მიიღება ნარჩენები, რომლებიც აკმაყოფილებენ ჟონვისა და ორგანული პარამეტრების ჯამური შემცველობის ზღვრულ ნორმებს, რაც არ არის დაცული კომპანიის მიერ, მაგნეზიტის თხევადი ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსების დროს.

ზემოაღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობა წარმოადგენს ნარჩენების მართვის კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით და 41-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 16 აპრილს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის, 79⁸ მუხლის პირველი ნაწილის, 79⁸ მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტის, 79⁷ მუხლის პირველი ნაწილის, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 41-ე მუხლის შესაბამისად, სს „რუსთავის აზოტი“-ს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 089018 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ, 2024 წლის 17 ივნისის № 4-193-24 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილით, 79⁸ მუხლის პირველი ნაწილით, 79⁸ მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტით, 79⁷ მუხლის პირველი ნაწილით, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით და 41-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა 45000 ლარი. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სს „რუსთავის აზოტი“-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 23 აგვისტოს №004016 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2024 წლის 23 აგვისტოს №004016 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

2024 წლის 27-29 თებერვალს, განხორციელებული ქ. რუსთავში, მშვიდობის ქუჩა №2-ში განთავსებული, სს „რუსთავის აზოტი“-ს (ს/ნ 404519794) კუთვნილი, ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წარმადობის გაზრდა; სახიფათო ნარჩენების ინსინერაცია; ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა; სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება; 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 19 თებერვლის №2-224 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის არაგეგმიური შემოწმების დროს გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად შემუშავებული, დეპარტამენტის 2021 წლის 22 ივლისის №002109 ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული მოთხოვნების და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, სს „რუსთავის აზოტი“ ვალდებულია:

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს, საკანალიზაციო ქსელში ან/და გრუნტში ციან-იონების შემცველი თხევადი საწარმოო ჩამდინარე ნარჩენი წყლების ჩაშვების აღკვეთის მიზნით, გამწმენდი სისტემის მოწყობის სამუშაოების დასრულება. ამასთან, გამწმენდი სისტემის მოწყობის სამუშაოების დასრულებამდე, საკანალიზაციო ქსელში ან/და გრუნტში ციან-იონების შემცველი თხევადი საწარმოო ჩამდინარე ნარჩენი წყლების ჩაშვების აღკვეთის მიზნით, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რათა არ მოხდეს ციან-იონებით დაბინძურებული წყლების გრუნტში და საკანალიზაციოს ქსელში ჩაშვება;
2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ბეტონიზირებული სექციებიანი რეზერვუარის დაზიანებული ბეტონის კედლების შეკეთება და ძირის მობეტონება, სუფთა ციან მარილების განყოფილებაში წარმოქმნილი საწარმოო ციანიდების შემცველი წყლების გრუნტში ჩაშვების პრევენციის და აღკვეთის მიზნით;
3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს, საამქროების მიხედვით, ტექნოლოგიური მილსადენების/აგრეგატების კოროზიის და გარსაცმების დაზიანების ფაქტების აღკვეთის და ჰერმეტიკულობის აღდგენა/შენარჩუნების მიზნით, კონკრეტული ვადების მითითებით (არაუგვიანეს 2025 წლის 31 მარტი) შემუშავებული გეგმა-გრაფიკის დეპარტამენტში წარმოდგენა. შემდგომში საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული, განსახორციელებელი ღონისძიებების და ვადების შესაბამისად;
4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს, განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალური გეგმა-გრაფიკის, კონკრეტული ვადების მითითებით (არაუგვიანეს 2025 წლის 31 მარტი) დეპარტამენტში წარმოდგენა, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი საამქროებში (ამიაკის სინთეზის საამქრო

და ციან მარილების წარმოება) არსებული გამწოვი და შემწოვი და გამწოვი სისტემების რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის ღონისძიებები. შემდგომში საქმიანობა განახორციელოს გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული ღონისძიებებისა და ვადების შესაბამისად;

5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“ დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების დაცვა (2021 წლის 22 ივლისის №002109 ადმინისტრაციული მიწერილობის მე-2 პუნქტის და მინისტრის 2021 წლის 19 თებერვლის №2-224 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-6 პუნქტი);
6. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს საქმიანობის განხორციელება საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად (2021 წლის 22 ივლისის №002109 ადმინისტრაციული მიწერილობის მე-3 პუნქტის და მინისტრის 2021 წლის 19 თებერვლის №2-224 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-14 პუნქტი). მათ შორის:

6.1 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში სრულად უზრუნველყოს სამშენებლო/ინერტული ნარჩენებით დაბინძურებული შემდეგი საკადასტრო კოდით განსაზღვრული ტერიტორიის (სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 13 მარტის №56343 წერილი) დასუფთავება:

- №02.07.01.498 საკადასტრო კოდით განსაზღვრული არასასოფლო-დანიშნულების 16214 კვ.მეტრი ტერიტორია, მესაკუთრე სახელმწიფო;
- №02.07.01.448 საკადასტრო კოდით განსაზღვრული არასასოფლო-დანიშნულების 34 კვ.მეტრი ტერიტორია, მესაკუთრე სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“;
- №02.07.01.498 საკადასტრო კოდით განსაზღვრული არასასოფლო-დანიშნულების 6468 კვ.მეტრი ტერიტორია, მესაკუთრე სახელმწიფო;
- №02.07.01.449 საკადასტრო კოდით განსაზღვრული არასასოფლო-დანიშნულების 49 კვ.მეტრი ტერიტორია, მესაკუთრე სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“;
- №02.07.01.308 საკადასტრო კოდით განსაზღვრული არასასოფლო-დანიშნულების 13655 კვ.მეტრი ტერიტორია, მესაკუთრე სს „რუსთავის აზოტი“.

ამასთან, ზემოაღნიშნული ტერიტორიის დასუფთავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების გატანა/განთავსება უზრუნველყოს „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №144 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით;

ნ. კოხიკიძე

- 6.2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ აღკვეთოს საწარმოს ტერიტორიის ნარჩენებით დანაგვიანება/დაბინძურება და ნარჩენების მართვა განახორციელოს სამინისტროსთან შეთანხმებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად (2021 წლის 22 ივლისის №002109 ადმინისტრაციული მიწერილობის 3.2 ქვეპუნქტი), მათ შორის: ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში სრულად უზრუნველყოს, აზოტმჟავას საამქროს მოპირდაპირე მხარეს, დაფიქსირებული დიდი რაოდენობით ჯართისა და სხვა სახიფათო ნარჩენების, ასევე, საწარმოს ტერიტორიის სხვადასხვა ადგილას დაყრილი სხვადასხვა სახის ნარჩენების (მათ შორის სამშენებლო ნარჩენები, ტექნოლოგიური მილსადენების გამოცვლილი გარსაცმების თერმოიზოლაციის ნარჩენები) გატანა და ტერიტორიის დასუფთავება/გაწმენდა, ხოლო ნარჩენების შემდგომი მართვა განახორციელოს საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;
- 6.3 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს, სახიფათო ნარჩენების განთავსების დროებითი ადგილების აღჭურვა უსაფრთხოების სისტემით, ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად, ასევე, 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების ობიექტზე არსებული ვადაგასული ცეცხლმაქრების ვარგისიანი ცეცხლმაქრებით ჩანაცვლება;
- 6.4 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში სამინისტროში შესათანხმებლად წარადგინოს არსებული/ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შემუშავებული, კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა. შემდგომ ნარჩენების მართვა განახორციელოს სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების გეგმის შესაბამისად;
- 6.5 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს ნარჩენების შეგროვებისათვის განკუთვნილი კონტეინერების მარივირება, შესაბამისი ნიშნებით, რათა შესაძლებელი იყოს მათი შიგთავსის განსაზღვრა და ზუსტად აღწერა;
- 6.6 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს ტარა-შესაფუთი მასალების საამქროს მიმდებარედ, 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების ობიექტის გარეთ დაფიქსირებული, დიდი რაოდენობით პოლიეთილენის და პოლიპროპილენის, სახიფათო პოლიეთილენის და პოლიპროპილენის ნარჩენების გატანა/დასუფთავება, ხოლო მათი შემდგომი მართვა განახორციელოს საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;
- 6.7 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს, ნარჩენების წინასწარი დამუშავება/გადარჩევა ნარჩენების წინასწარი დამუშავების უბანზე;
- 6.8 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან, დაუყოვნებლივ დაიწყოს საწარმოს ექსპლუატაციისას წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების განთავსება მხოლოდ გზშ ანგარიშით

და ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებულ ადგილებში. ამასთან, ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს საწარმოს სხვა ტერიტორიებზე განთავსებული სახიფათო ნარჩენების (მათ შორის ამიაკის სინთეზის საამქროს ტერიტორიაზე, ლითონის რეზერვუარში განთავსებული 200 ტონა მონოეთანოლამინის ნარჩენები, საწარმოს ტერიტორიაზე, ძველი კაპროლაქტამის საამქროს შენობაში, ლითონის კასრებში განთავსებული 40 ტონა 7% ანიზოლის, ფენოლების და კრეზოლების შემცველი კუბური ნარჩენები) გატანა/დასუფთავება, ხოლო მათი შემდგომი მართვა განახორციელოს საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;

6.9 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს სახიფათო და არასახიფათო (მათ შორის პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ტომრების სახიფათო ნარჩენები) გატანა/გადაცემა, საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;

6.10 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ აღკვეთოს 50 ტონამდე არასახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის არამიზნობრივად გამოყენება. კერძოდ, არ განახორციელოს აღნიშნულ უბანზე ტექნოლოგიური მილსადენების სარეაბილიტაციო სამუშაოებისას წარმოქმნილი გარსაცემების დაჭრა/ შედუღების სამუშაოები;

7. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge) სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმების წარმოება (2021 წლის 22 ივლისის №002109 ადმინისტრაციული მიწერილობის მესამე პუნქტის 3.3 ქვეპუნქტი);

8. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელის ოპერირება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №421 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვის და შემდგომი მოვლის შესახებ“ მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 13 მარტის №21/1684 წერილით შეთანხმებული სს "რუსთავის აზოტი"-ს "არსებული ნაგავსაყრელის (ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელი) შესაბამისობაში მოყვანის გეგმის" შესაბამისად.

ამასთან, ვინაიდან განხორციელებული ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ კომპანიას საწარმოს ტერიტორიაზე განხორციელებული აქვს ცვლილებები გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე (იხ. №0040016

2024 წლის 23 აგვისტოს №004016 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

ადმინისტრაციული მიწერილობის №1 დანართის მე-7 პუნქტი), სს „რუსთავის აზოტი“ ვალდებულია ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით.

ნ. ეთიქიძე